საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2016 წლის 25 მაისის
დადგენილება №2014

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს- ინჟინერინგის ფაკულტეტის
რეორგანიზაციის პროცესის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და ამავე წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის r^1 ქვეპუნტის, სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის 2013 წლის 13 მაისის საბჭოს №12 სხდომის გადაწყვეტილებისა და სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 16 მაისის №1987 დადგენილების საფუძველზე **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ სამ ახალ ფაკულტეტზე – „სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე“, „საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტსა“ და „ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 16 მაისის №1987 დადგენილების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება დაიწყოს 2016–2017 სასწავლო წლიდან;
2. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესი (2015–2016 სასწავლო წლის მე-2 სემესტრი) განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად დასრულდეს ამავე ფაკულტეტზე, ხოლო კურსდამთავრებულებზე დიპლომის გაცემა განხორციელდეს არაუგვიანეს 2016 წლის 1 სექტემბრისა;
3. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტიდან უნივერსიტეტის წარმომადგენლობით ორგანოებში არჩეულ პირებს შეუნარჩუნდეთ უფლებამოსილება დარჩენილი ვადით, როგორც ახალშექმნილი შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენლებს;
4. დადგენილება ძალაშია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე